

შპს „ჯორჯიან ფარმაცევტიკალსი“ (202460069)

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი:	გვერდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საქმიანობის შედეგები	3
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:	4-10

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოშვებულ იქნა ხელმძღვანელობის მიერ.

დირექტორი

თამაზ ზვიადაური

თარიღი: 25 ივნისი 2020

შპს ჯორჯიან ფარმაცევტიკალსი (202460069)
ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2019	31/12/2018	01/01/2018	შენიშვნა
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	985,451	654,447	311,167	3
სავაჭრო მოთხოვნები	2,435,972	2,147,946	1,821,438	4
გადახდილი ავანსები	5,102	28,984	17,571	5
მარაგები	2,459,712	1,605,848	1,968,513	
სხვა	2,459,712	1,605,848	1,968,513	6
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	0	
ძირითადი საშუალებები	155,088	32,252	54,475	7
სულ აქტივები	6,041,325	4,469,477	4,173,164	
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	2,239,360	1,760,489	1,181,307	8
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	6,176	0	3,200	
საგადასახადო ვალდებულებები	0	1,096	0	
სხვა ვალდებულებები	25	0	0	
სულ ვალდებულებები	2,245,561	1,761,585	1,184,507	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	350,000	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	3,437,764	2,707,892	2,988,657	
გადაფასების რეზერვი	8,000	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	3,795,764	2,707,892	2,988,657	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6,041,325	4,469,477	4,173,164	

თამაზ ზვიადაური

დირექტორი

შპს ჯორჯიან ფარმაცევტიკალსი (202460069)
საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	2019	2018	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	4,303,060	5,782,868	
საქონლის გაყიდვიდან	4,303,060	5,782,868	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	3,056,745	4,640,334	
საწყისი მარაგები	-	-	
მარაგების შესყიდვა	1,605,848	1,968,513	
საბოლოო მარაგები	3,910,609	4,277,669	
საერთო მოგება	1,246,315	1,142,534	
სხვა შემოსავალი	2,034	1,665	9
დასაქმებულთა ანაზღაურება	-64,735	-87,000	
ცვეთა და ამორტიზაცია	-7,578	-22,223	
საპროცენტო შემოსავალი:	5,313	16,706	
იჯარის ხარჯი	-34,200	-34,589	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-46,052	-13,169	10
სულ საოპერაციო ხარჯები	-145,218	-138,610	
საოპერაციო მოგება	1,101,097	1,003,924	
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	3,728	21,449	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-374,953	192,850	11
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	729,872	1,218,223	
მოგების გადასახადი	0	-13,505	
მოგება/(ზარალი)	729,872	1,204,718	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რევერზი	8,000	0	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	8,000	0	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	737,872	1,204,718	
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2,707,892	2,988,657	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	350,000	0	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	-1,485,483	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3,795,764	2,707,892	

თამაზ ზვიადაური

დირექტორი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019

წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 1

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯორჯიან ფარმაცევტიკალსი“ (შემდგომში „კომპანია“), დაარსდა 2009 წელს საქართველოში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო (ოფათალმოლოგიური) მოწყობილობების და სახარჯი მასალების საბითუმო ვაჭრობა.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, წერეთლის გამზ. № 77;

კომპანიის ამჟამინდელი ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ზაქარიაძის ქუჩა. № 8.

შენიშვნა 2

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საანგარიშგებო და სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

1. საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
3. განმარტებითი შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, დივიდენდების გაცემით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით, შესაბამისად კომპანიამ გადაწყვიტა წარადგინოს საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები.

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით. აქტივები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით და დაგროვილი ცვეთით (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის;

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და 'საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება,

კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება შეფასებით სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით და ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულების გათვალისწინებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად ძირითადად გამოიყენება შემდეგი მომსახურების ვადები:

შენობა-ნაგებობა: 240 თვე (5%)

ტექნიკა და ელ.მოწყობილობები: 30-36 თვე (33-40)%

სატრანსპორტო საშუალებები: 60 თვე (20%)

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა: 60 თვე (20%)

არამატერიალური აქტივი: 80 თვე (15%)

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი შეფასების ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (მარაგის) თვითღირებულება მოიცავს: მის შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, როდესაც ძვირადღირებული იმპორტირებული (მყიდველისთვის ძირითადი საშუალება) სამედიცინო მოწყობილობების მიწოდება ხდება, მოთხოვნების შეფასება ხდება უცხოური ვალუტაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური

მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოთხოვნების გაუფასურების ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება.

გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი (GEL). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აღიარდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად გადახდილი ავანსების გათვალისწინებით.

საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული

ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოშობილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაცვლითი კურსები:

საქ. ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 31.12.2017	2,5922	3,1044
გაცვლითი კურსი 31.12.2018	2,6766	3,0701
გაცვლითი კურსი 31.12.2019	2,8677	3,2095

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება: განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

2019 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა. მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომზადარი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენები.

მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები.

შენიშვნა 3

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	<u>31/12/2019</u>	<u>31/12/2018</u>	<u>01/01/2018</u>
ნაღდი ფული სალაროში	2 500	1 000	200
მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკებში ეროვნულ ვალუტაში	38 547	39	1 232
მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკებში უცხოურ ვალუტაში	944 404	653 408	309 735
სულ	985,451	654,447	311,167

შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	<u>31/12/2019</u>	<u>31/12/2018</u>	<u>01/01/2018</u>
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	2 229 624	1 744 356	1 525 319
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 13)	9 736	403 590	296 119
სულ	2,239,360	2,147,946	1,821,438

შენიშვნა 5

გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

	<u>31/12/2019</u>	<u>31/12/2018</u>	<u>01/01/2018</u>
ავანსები პერსონალზე (ანგ.ვალდ.პირები)	342	41	123
ავანსები მომწოდებლებზე	347	28 943	567

წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	29	0	8 612
საგადასახადო ვალდებულებათა ავანსი	4 384	0	8 270
სულ	5,102	28,984	17,571

შენიშვნა 6

მარაგები

	<u>31/12/2019</u>	<u>31/12/2018</u>	<u>01/01/2018</u>
საქონელი (გასაყიდად განკუთვნილი)	2 459 271	1 605 491	1 967 906
სხვა საწარმოო მარაგი	441	356	607
სულ	2,459,712	1,605,848	1,968,513

შენიშვნა 7

ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
31 დეკემბერი 2018	27,914	74,924	102,838
შემოსვლა	0	125,115	125,115
გადაფასება	0	8,000	8,000
გასვლა	0	(27,004)	(27,004)
31 დეკემბერი 2019	27,914	181,035	208,949
ცვეთა და გაუფასურება			
31 დეკემბერი 2018	(20,469)	(50,117)	(70,586)
პერიოდის ცვეთა	(1,937)	(5,640)	(7,578)
გაუფასურება	0	0	0
გასვლა	0	24,304	24,304
31 დეკემბერი 2019	(22,406)	(31,454)	(53,860)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2018	7,445	24,807	32,252
31 დეკემბერი 2019	5,508	149,580	155,088

შენიშვნა 8

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	<u>31/12/2019</u>	<u>31/12/2018</u>	<u>01/01/2018</u>
სავაჭრო ვალდებულებები	2 239 360	1 321 303	835 752
მ.შ. უცხოურ ვალუტაში	2 234 400	1 278 874	835 441
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 13)	0	411 252	345 555
მიღებული ავანსები	0	27 934	0
სულ	2,239,360	1,760,489	1,181,307

შენიშვნა 9

სხვა შემოსავალი

	<u>31/12/2019</u>	<u>31/12/2018</u>
საიჯარო შემოსავალი	2 034	1 665
სულ	2,034	1,665

შენიშვნა 10

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	<u>31/12/2019</u>	<u>31/12/2018</u>
ტრანსპორტირების, მიწოდების და შენახვის ხარჯები	11 449	0
მივლინების ხარჯი	15 674	5 554
საგარანტიო ხარჯები	4 534	0
სატრანსპ.საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯი	1 691	2 852
კომუნიკაციის ხარჯები	2 115	2 454
ბანკის მომსახურების ხარჯი	6 774	1 446
სხვა საოპერაციო ხარჯები	3 815	863
სულ	46,052	13,169

შენიშვნა 11

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)

	<u>31/12/2019</u>	<u>31/12/2018</u>
ბონუსები (კრედიტ-ნოტები) მომწოდებლიდან	182 214	196 179
ბონუსები (კრედიტ-ნოტები) მყიდველებთან	0	(3 329)
მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	(564 467)	0
ძირითადი საშუალების რეალიზაციის ნამეტი	7 300	0
სულ	(374,953)	192,850

შენიშვნა 12

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები:

„კომპანიის“ დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს დამფუძნებელი, დირექტორი, კომპანია, რომელთაც მართავს საერთო დირექტორი და ფლობს საერთო დამფუძნებელი.

მფლობელებს შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:	<u>31/12/2019</u>	<u>31/12/2018</u>
თამაზ ზვიადაური (პ/ნ 01029014347)	100%	100 %

დაკავშირებული მხარე	დაკავშირებული მხარეები	ოპერაციების შინაარსი
შპს „ჯორჯიან სერვის კომპანი“	დაკავშირებული მხარეა, რადგან ჰყავთ საერთო დამფუძნებელი და დირექტორი	აღნიშნულ დაკავშირებულ მხარეებს შორის მოხდა საქონლისა და მომსახურების მიწოდება/შესყიდვა

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

საქონლის მიწოდება მომსახურების გაწევა:	<u>31/12/2019</u>	<u>31/12/2018</u>
მეკავშირე საწარმო, საქონლის მიწოდება	516 455	454 321
მეკავშირე საწარმო, საწყობის იჯარა	1 200	650
სულ:	517,655	454,971

საქონლის შეძენა:

	<u>31/12/2019</u>	<u>31/12/2018</u>
მეკავშირე საწარმო, საქონლის შეძენა	45 521	129 337
სულ:	45,521	129,337

*საქონლისა და მომსახურების მიწოდება და შეძენა მოხდა საბაზრო პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

	<u>31/12/2019</u>	<u>31/12/2018</u>
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 3)	9 736	403,590
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 8)	0	411,252

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	<u>31/12/2019</u>	<u>31/12/2018</u>
შრომის ანაზღაურება მთლიანად	46 348	52 000
სულ	46,348	52,000

შენიშვნა 13

გაუთვალისწინებელი გარემოებები

ახალი კორონავირუსის Covid-19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ახალი კორონავირუსი (COVID-19), რომელმაც გავრცელება დაიწყო 2020 წლის იანვრიდან და რამდენიმე კვირაში მიიღო გლობალური პანდემიის სახე, სხვა ფაქტორებთან ერთად, მსოფლიოს ახალი ეკონომიკური და საზოგადოებრივი კრიზისის დაწყების ძირითადი მიზეზია, რამაც ფაქტიურად ეკონომიკის ყველა სფერო მოიცვა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ასეთ ქვეყნებს შორის არის საქართველოც და გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის ეკონომიკა საკმაოდ სუსტია და არ არის სტაბილური, არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეაფერხებს ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას უახლოეს თვეებში. პანდემიით მიყენებული შესაძლო ზიანის მასშტაბების შემცირების მიზნით გატარებული ღონისძიებების გამო, ნაწილობრივ გაჩერებულია ეკონომიკური საქმიანობა. თუმცა საქართველოში ამ ეტაპზე, კომპანიის საქმიანობა დისტანციური არხებით დაშვებულია. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელების შესაძლო შედეგები კომპანიისთვის არ იქნება მნიშვნელოვანი ხასიათის. სახელმწიფოთა შორის დაწესებულმა აკრძალვებმა ავიაგადაზიდვებზე საგრძნობლად შეამცირა კომპანიის მიერ შესყიდული საქონლის როგორც მიღება, ასევე გაყიდვების რაოდენობაც. აღნიშნულმა გარემოებამ შეამცირა კომპანიის შემოსავლები, თუმცა ის გავლენას არ იქონიებს საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ზემოთქმული დამოკიდებულია საქართველოში და მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელების მასშტაბებზე და ხანგრძლივობაზე, ასევე იმის მიხედვით, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება მოცემული მდგომარეობა, პროგნოზი შეიძლება შეიცვალოს. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელების შესაძლო შედეგები კომპანიისთვის არ იქნება მნიშვნელოვანი ხასიათის. სახელმწიფოთა შორის დაწესებულმა აკრძალვებმა ავიაგადაზიდვებზე საგრძნობლად შეამცირა კომპანიის მიერ შესყიდული საქონლის როგორც მიღება, ასევე გაყიდვების რაოდენობაც. აღნიშნულმა გარემოებამ შეამცირა კომპანიის შემოსავლები, თუმცა ის გავლენას არ იქონიებს საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ზემოთქმული დამოკიდებულია საქართველოში და მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელების მასშტაბებზე და ხანგრძლივობაზე, ასევე იმის მიხედვით, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება მოცემული მდგომარეობა, პროგნოზი შეიძლება შეიცვალოს.

შენიშვნა 14

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2020 წლის 25 ივნისს.

შპს ჯორჯიან ფარმაცევტიკალსი (202460069)
ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2019	31/12/2018	01/01/2018	შენიშვნა
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	985,451	654,447	311,167	3
სავაჭრო მოთხოვნები	2,435,972	2,147,946	1,821,438	4
გადახდილი ავანსები	5,102	28,984	17,571	5
მარაგები	2,459,712	1,605,848	1,968,513	
შზა პროდუქცია	0	0	0	
სხვა	2,459,712	1,605,848	1,968,513	6
საინვესტიციო ქონება	0	0	0	
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0	
ძირითადი საშუალებები	155,088	32,252	54,475	7
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0	
სულ აქტივები	6,041,325	4,469,477	4,173,164	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	2,239,360	1,760,489	1,181,307	8
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	6,176	0	3,200	
საგადასახადო ვალდებულებები	0	1,096	0	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0	0	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0	0	
მიღებული გრანტები	0	0	0	
სხვა ვალდებულებები	25	0	0	
სულ ვალდებულებები	2,245,561	1,761,585	1,184,507	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	350,000	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	3,437,764	2,707,892	2,988,657	
გადაფასების რეზერვი	8,000	0	0	
სხვა რეზერვები	0	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	3,795,764	2,707,892	2,988,657	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6,041,325	4,469,477	4,173,164	

თამაზ ზვიდაური



დირექტორი

შპს ჯორჯიან ფარმაცევტიკალსი (202460069)
საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	2019	2018	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	4,303,060	5,782,868	
საქონლის გაყიდვიდან	4,303,060	5,782,868	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-3,056,745	-4,640,334	
საწყისი მარაგები	-1,605,848	-1,968,513	
მარაგების შესყიდვა	-3,910,609	-4,277,669	
საბოლოო მარაგები	2,459,712	1,605,848	
საერთო მოგება	1,246,315	1,142,534	
სხვა შემოსავალი	2,034	1,665	9
დასაქმებულთა ანაზღაურება	-64,735	-87,000	
ცვეთა და ამორტიზაცია	-7,578	-22,223	
საპროცენტო შემოსავალი:	5,313	16,706	
საპროცენტო ხარჯი :	0	0	
იჯარის ხარჯი	-34,200	-34,589	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-46,052	-13,169	10
სულ საოპერაციო ხარჯები	-145,218	-138,610	
საოპერაციო მოგება	1,101,097	1,003,924	
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები	0	0	
მარაგები	0	0	
სხვა არაფინანსური აქტივები	0	0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	3,728	21,449	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-374,953	192,850	11
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	729,872	1,218,223	
მოგების გადასახადი	0	-13,505	
მოგება/(ზარალი)	729,872	1,204,718	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	8,000	0	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	8,000	0	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	737,872	1,204,718	
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2,707,892	2,988,657	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	350,000	0	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	-1,485,483	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3,795,764	2,707,892	



(Handwritten signature)